# ხელშეკრულება საქონლის გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 10-20

ქ. თელავი „16“ იანვარი 2020 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, **ა(ა)ი.პ. „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი” (ს/კ 231262665) სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშვალდებული პირი, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის თინათინ ხანჯალიაშვილის** სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ **შპს „თეგეტა მოტორსი” (ს/კ 202177205) წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის, ჟორა რუხაძის სახით (ბრძანება N3, 10.01.2020 გაცემული გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ),** შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი”, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანი: მანქანის ტექნიკური მომსახურება, ტრანსმისიური ზეთის და ანტიფრიზის შეძენა;

1.2. კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 50112200 - მანქანის ტექნიკური მომსახურება; 50116400 - გადაცემათა კოლოფების შეკეთება და ტექ. მომსახურება; 09211400 - ტრანსმისიური ზეთის შეძენა; 24951311 - ანტიფრიზის შეძენა;

1.3. შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა;

1.4. შესყიდვის საფუძველი - მონეტარული ზღვრის დაცვით;

1.5. დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები.

| № | CPV კოდი | შესყიდვის ობიექტის დასახელება და აღწერილობა | რაოდ. | ერთ. ფასი (ლარი) | ჯამი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | 50112200 | მანქანის ტექნიკური მომსახურება | 1 | 67.00 | 67.00 |
| 2 | 50116400 | გადაცემათა კოლოფების შეკეთება და ტექ. მომსახურება | 1 | 65.00 | 65.00 |
| 3 | 09211400 | ტრანსმისიური ზეთის შეძენა | 1 ლ. | 28.00 | 28.00 |
| 4 | 24951311 | ანტიფრიზის შეძენა | 1 ლ. | 10.00 | 10.00 |
| | | | ჯამი: | | 170.00 |

## 2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ საქონელი მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების ვადებია: **„16“ იანვარი 2020 წ. - „26“ იანვარი 2020წ.**

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედდებულის/ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს“ საბოლოო შემოწმების შედეგები და წუნდებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.4. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თელავი, სოფ. ვარდისუბანი

## 5.შესყიდველის და მიმწოდებლის ვალდებულებები

5.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია :

- გადაუხადოს „მიმწოდებელს“ შეთანხმებული ფასი;
- მიიღოს შესყიდული საქონელი.

5.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

– გადასცეს „შესყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში; – დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასის დროული გადარიცხვა.

## 6.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 170,00 (ასსამოცდაათი ლარი) ლარს, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

6.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების ღირებულებითი

პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა დადგომის დროს.

6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ით გაზრდა.

## 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

**ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;**

**ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.**

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება **სასაქონლო ზედდებულის/ანგარიშფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში „შემსყიდველს“ არ მიაწვდის შესყიდულ საქონელს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელზე“ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების 2 (ორი) %-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

## 9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს ადგილზე ახორციელებს სასაქონლო ზედნადებზე/ანგარიშფაქტურაზე ან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირი.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

## 12. მოქმედების ვადა

12.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია: **2020 წლის „20“ მარტამდე.**

## 13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელისმოწერილია მხარეთა მიერ, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
13.2. შესყიდვის მიღება ფორმდება ანგარიშფაქტურით ან სასაქონლო ზედნადებით ან მიღება-ჩაბარების აქტით.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“ | შპს ,,თეგეტა მოტორსი'' |
| | ს/კ 202177205 |
| მის: ქ. თელავი, ერეკლე II -ის N9 | მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N5 |
| ს/კ 231262665 | ბანკის კოდი: TBCBGE22 |
| მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა | ანგ. № GE80TB0600000024467853 |
| ტელ: (0-350) 23 21 31 | ტელ: 0322 26 44 44 |
| | სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი |
| აღმასრულებელი დირექტორი: | |
| თინათინ ხანჯალიაშვილი Tinatin Khanjaliashvili _____ Digitally signed by Tinatin Khanjaliashvili Date: 2020.01.16 14:15:50 +04'00' | ჟორა რუხაძე ---------- |

# ინტერესთა კონფლიქტის ხელწერილი

ქ. თელავი „16“ იანვარი 2020 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი-ს და შპს ,,თეგეტა მოტორსი''-ს შორის 2020 წლის 16 იანვარს N10-20 ხელშეკრულების გაფორმებისას არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ, ინტერესთა კონფლიქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“ | შპს ,,თეგეტა მოტორსი'' |
| აღმასრულებელი დირექტორი: | სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი: |
| თინათინ ხანჯალიაშვილი Tinatin Khanjaliashvili ---------- Digitally signed by Tinatin Khanjaliashvili Date: 2020.01.16 14:16:09 +04'00' | ჟორა რუხაძე ---------- |

Tegeta Motors LLC
2020.01.16 16:22:03 +04'00'